ვალერიან მჭედლიძემ მორიგი შეხვედრა ქარელის მუნიციპალიტეტის მერიაში გამართა

04 ივნისი 2021

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა ვალერიან მჭედლიძემ ქარელის მუნიციპალიტეტში სამუშაო შეხვედრა გამართა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. განხილულ საკითხებს შორის ყურადღება გამახვილდა მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე. ასევე, იმსჯელეს ქარელის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმაზე და პრიორიტეტულ საკითხებზე. რწმუნებულის თქმით, ერთობლივი მუშაობა და მსგავსი სახის შეხვედრები ხელს შეუწყობს მოსახლეობის საჭიროებების გამოკვეთას და მოგვარების გზების მოძიებას.